ცნობის ფურცელი
სურათებიანი დამატება

დამატების № 4 ².   კვირა, 9 ივნისი 1902 წ.   გაზეთის № 1832.

# სისხლის ძიება

(ნამდვილი ამბავი, მომხდარი ლენქორანის მაზრაში 1900 წ.)

— ხი, ხი, ხი!... — დაიწყო სიცილით გუსეინამ, როცა ვსთხოვე პირადად ეამბნა ჩემთვის ის მარად სახიფათო ნადირობა ვეფხზედ,*) რომელიც იმას გადახდოდა და რომელსაც ისეთი გაკვირვებით და ინტერესით უამბობდნენ ერთმანეთს სილდაშელები.**)

— მე რომ იმ ხიფათს გადავრჩი, რა ვიცი! — განაგრძო ფეხ-მორთხმულმა გუსეინამ, რომელსაც უშველებელი ცხვრის ქუდი წარბებამდის ჩამოეფხატა და კმაყოფილი ღიმილი არა სტოვებდა მის ვაჟკაცურ ეშხიან სახეს. — მაგრამ სჯობს თავიდან მოგახსენოთ: ორი, ჩემგან ხბორებათ შეძენილი, სახლში აღზრდილ-გამოკვებული და დღე-დღეზე მოსაგები ძროხა მყავნდა, და რადგან ამ ძროხების გარდა სხვა საქონელი არა გაგვაჩნდა-რა, მთელი ჩემი და ჩემი ოჯახობის ზრუნვა-ყურადღება ამ ჩვენი მომავალი მარჩენლებისკენ იყო მიპყრობილი. ცარიელი ხმელი პურის ჭამით ღრძილებ-გადაცვეთილი ჩემი პატარა გოგო-ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ იმ სანატრელ დროს, როცა ეღირსებოდათ რძით, მაწვნით, ყველით და კარაქით პირის ჩაგემრიელება; ამიტომაც ისინი ძროხების ნახირიდან დაბრუნებას, ვით გულითადი მეგობრებისას, მოუთმენლად ელოდნენ ხოლმე: ზოგი მწვანე ბალახს, ზოგი პურის ნაჭერს და ზოგი რას არა სჩრიდა, ისედაც გამაძღარ, სიმსუქნისაგან ფერდებ გათქვირულ შეჩვეულ ძროხებს. ერთს საღამოს ძროხები ნახირიდან სახლში აღარ დაბრუნდნენ ჩვეულებისა-მებრ; ამან მე და ჩემი სახლობა მეტად დაგვაღონა. ღამდებოდა, მეტი დახანება აღარ შეიძლებოდა და მეც გავუდეგ საძებნელად. შემოდგომა იწურებოდა, ტყესაც თითქმის მთლად გაეძრო სამოსელი, აღარ იყო იმდენად გულდახურული, რის გამოც ხეებსა და ხეებს შუა, კარგა შორს მანძილზედ, შეიძლებოდა საგნების გარჩევა. ბევრი ვეძებე, ბევრი ვიარე, და რადგანაც მთვარიანი ღამეც შემხვდა, ვარჩიე სახლში აღარ დავბრუნებულიყავ. ჩვენი ახლო-მახლო ტყეების ერთი კუნჭულიც კი არ დამრჩენია დაუთვალიერებელი, მაგრამ ამაო იყო ჩემი ძებნა. მხოლოდ მეორე დღეს, მზემ რომ კარგა მაღლა აიწია, წავაწყდი სურათს, რომელმაც უნებლიედ მუხლები ჩამიკეცა და დავეშვი მიწაზედ: ჩემ წინ, ჩვენი ნაამაგდარი, ჩვენი მომავალში შეღავათის მომცემნი ძროხები ერთი-ერთმანეთზე უსულოდ ეყარნენ, და ზედ, მიწა, ბალახ-ბულახი და ხმელი ტოტები იყო მიყრილი. იქვე ახლოს, დანამულ მიწაზედ, აშკარად ემჩნეოდა ბასრი კლანჭების ნამოქმედარი. სული ყელში მებჯინებოდა, მეტირებოდა, მაგრამ რას გავაწყობდი! იმ დროს მზად ვიყავ პირდაპირ შევბმოდი ჩემს დამნელებელ მტერს, მეც ზედ შევკვდომოდი, მაგრამ იგი არსადა სჩანდა! ანგარიშ-მიუცემლად, კისერ მოწყვეტილი, ფეხების თრევით გავუდექი სახლისკენ. საჭირო კია მოგახსენოთ, რა ვაი უშველებელი აუტყდათ ჩემს ოჯახობას, როცა შეიტყო ჩვენი უბედურება?! როცა „გამოვიგლოვეთ“, მოვიწადინე წამელო დანა და ტყავები მაინც გამეძრო ძროხებისათვის; მაგრამ ამასთანავე რაღაც უცნაურის გულის თქმამ ამიყოლია, იდუმალმა ხმამ დამიწყო ჩურჩული: „ამოდენა სივერაგეს და უბედურებას რომელი მოსისხლე მტერი მოგაყენებდა ჭ ნუ თუ ჯავრ-ამოუყრელად, სისხლ-აუღებლად დაანებებ თავს ამ საქმის ჩამდენსო?“... ეს აზრი თან-და-თან გამიძლიერდა და ბოლოს მთლად მომიცვა. . გადავწყვიტე ჯავრის ამოყრა, სისხლის აღება? ავიღე ჩემი ცალ-ლულა თოფი, ვინიცობაა ნიშნისთვის ამეცდინა, მეორე თოფიც მეზობელს გამოვსთხოვე და, ორ თოფ-ხანჯლით შეიარაღებული, დახოცილ ძროხებისაკენ გავუდექ მოღამებისას, რადგანაც ვიცოდი, რომ დღისით ხმაურობას მორიდებული ნადირი, ღამე დაიწყებდა თარეშობას. მოღამდა, რომ მიველი დახოცილ ძროხებთან. იქვე ახლოს ერთი უშველებელი მედიდური და გაბარჯღლული მუხა იდგა, რომელსაც თავისუფლად გაეშვირა ყოველ მხარეს ტოტები და ამაყად დასცქეროდა მის ახლო-მახლო ხშირ მოზარდ ტყეს. ეს მუხა განგებას თითქოს ჩემი წადილის ასასრულებლად გადარჩენილიყო გაუმაძღარ კაცის



ტფილისის მოსწავ. რუსეთში მოგზაურობა პოლტავში. პეტრე I-ის ძეგლთან.

*) რამდენადაც ვიცით, ამ გვარი ნადირნი ამიერ კავკასიაში შედარებით უფრო ხშირად მოიპოვებიან ლენქორანის მაზრაში, რაც, ცხელი ჰავის გარდა, აიხსნება კიდევ იმ გარემოებით, რომ იქაურ ხშირ, ღაბურულ და დიდ მანძილზე გადაჭიმულ ტყეებში ზემოდასახელებული ნადირნი ჰპოებენ მყუდრო თავშესაფარს.

**) ლენქ. მაზრის ერთი ნაწილი.

მოუსვენარ ხელისგან. აველი ამ მუხაზედ, გადმოვჯექი იმ ტოტ-
ზედ, რომელიც ძროხებისაკენ იყო გამოწვდილი, და დავუწყე
ცდა... ლოდინი დიდხანს არ მომინდა: გაბადრულმა მთვარემ
თავის მიბნედილ სხივებში გაახვია თუ არა არე-მარე, მომესმა

ვით, ფრთხილად აკარებდა დედამიწას, თითქოს ჰაერში მოცუ-
რავსო; მისი აფერადებული ტანი, რომელსაც შავი და განი-
ერი ზოლები სარტყელივით ეხვეოდნენ გარშემო, ყოველ მის
რხევაზე მრავალ ფრად ბზინავდენ მთვარის სხივებზე. ეს ყვე-

## ქუთაისის „საურთიერთო კრედიტის“ გამგეობა



თ. ზ. თუმანიშვილი



მ. ქუთათელაძე



თ. ქ. ბ. ღორთქიფანიძე

ოდნავი ხმელი ფოთლების შრიალი და ფიჩხის ტკაცუნი. შრია-
ლი თან-და-თან ხშირდებოდა, ახლოვდებოდა .. ერთი თოფი
მოვიმარჯვე, მაგრამ ჩემ გულს იმოდენა ძაგა-ძუგი გაუდიოდა,
რომ, მერწმუნეთ, შემეშინდა
ნადირი არ დამეფრთხო. აგერ
გამოჩნდა კიდეც... მაგრამ ვე-
ფხის მაგიერ დათვი კი გამოდგა.
ყურებ აცქვეტილმა, ცხვირის
აქეთ-იქით მიგრეხ-მოგრეხით,
დასუნა იქაურობა და დაუწყო
ლეშს ჭამა. მარჯვედ ვიჯექ და
ვაპირებდი კიდეც თოფის დამიზ-
ნებას, მაგრამ ვიფიქრე, ეს დათვის
საქმეს არა ჰგავს-მეთქი, რადგა-
ნაც ის ერთი ძროხითაც დაკმა-
ყოფილდებოდა და ამას გარდა
ძროხების გარშემო აშკარად
ეტყობოდა ვეფხის თათები. ამი-
ტომაც გადავწყვიტე, ცოტა
დამეხანებინა და თუ სხვა ნა-
დირი აღარ მონახავდა, თავის
ნამოქმედარს,—დათვზედ მეყა-
რა ჯავრი. იმედი არ გამიცრუვ-
და... კიდევ ცოტა ხნის შემდეგ
მოისმა ფოთლების უფრო ჩუ-
მი შრიალი, რის გაგონებაზე-
დაც დათვი შეკრთა, ყურები
აცქვიტა და მოკურცხლა მუხის-
კენ, რომელზედაც მე ვიყავი;
მარჯვეთ ამოცოცდა ზედ, გვერ-
დი შეუმჩნევლად ამიარა, მუ-
ხას წვერში მოექცა და იქიდან
დამიწყო ყურება. სული გავნაბე დ მუხის ტოტს გავეკარ. დათვის
შიში ტყუილი არ გამოდგა. მალე გამოჩნდა ჩვენი საერთო მტერი
ვეფხი. მის სანახაობას კი არა სჯობდა-რა: მედიდური, მაგრამ გა-
ნაბული, ოდნავ მოიკლაკნებოდა დ ფუნჩულა ფეხებს, ისე კრძალ-

ლა კარგი, მაგრამ, არ გინდათ გაიგოთ ჩემი უბედური მდგომა-
რეობა?—დავუმიზნო და ვესროლო თოფი ვეფხს,—მეშინიან დამ-
ფრთხალი დათვი ზემოდან არ დამეცეს და ვიცი, სული არ ჩამ-
ყვება ძირამდის! დათვს ვესროლო და,—ერთით შეიძლება ტოტებ
და ტოტებ შუა, ჩემდა საუბე-
დუროდ, ავაცდინო მიზანს, და
რომ მოვარტყა კიდეც, ნამდვი-
ლი მტერი კი წამივა ხელიდან!
ამ მოუსვენრობის დროს, უნებ-
ლიედ ოდნავ რომ შევინძერი,
დათვმა შემნიშნა. ჯერ გაკვირ-
ვებით დამიწყო ცქერა, და შემ-
დეგ ტორტმანით, თავის თა-
თი წინ გაიშვირა, თითქოს
ცდილობდა რაღაცისადმი ჩე-
მი ყურადღების მიპყრობას. მე
მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ
საბრალო დათვი ვეფხზედ მი-
თითებდა, და მაშინ კი იმით
ავხსენ, რომ დათვს ჩემიც შე-
შინდა-მეთქი, უფრო კი ფერი
მეცვალა მაშინ, როდესაც და-
თვმა ჩემსკენ ქვემოდ და ქვემოდ
დაიწყო ჩამოცოცვა. ცოცხალ-
მკვდარიღა ვიჯექი ხეზედ და
ამაოდ ვცდილობდი ნერწყვი გა-
დამეყლაპა, პირი მშრალი მქონ-
და. დათვი მომიახლოვდა და
მაშინვე წინა თათი გამოიშვი-
რა ჩემკენ და ვეფხვისაკენ.
მე ეს ჩემს თავზე იერიშის მო-
ტანად მივიღე, თუმცა, მაშინვე
თავი შევიმაგრე, უჩუმრად ხან-
ჯალი ვიძრე და მუნჯურად თავის ქნევით რომ შევუტიე
დათვს, ის შეშინებული მსწრაფლ მომშორდა, და იმის
მაგიერად რომ აცოცებულიყო მაღლა, გავიდა ჩემს პირ-
დაპირ გაწვდილ მეორე ტოტზედ. მე ვისარგებლე ამ გა-

რემოებით: ხანჯალი ღონივრად დაკ-რი იმის ტოტს, ტოტი ჩატყდა და დათვი მიწაზე დაეცა. ეს რომ ვეფხმა დაინახა, ოც ადლიანი მეტი მანძილი ორი-სამი გადმოხტომით გადმოიარა და ეცა დათვს; შეექმნათ ბრძოლა. დათვი იმდენად არ ეწინააღმდეგებოდა ვეფხს, რამდენადაც სცდილობდა თავის დახწევას. მაგრამ როგორ მოახერხებდა! ბევრჯელ შეიგდო დათვი ვეფხმა ზურგზე და დაანარცხა მიწაზედ. ნახევარი საათიც არ გავიდა, რომ დათვი უსულოდ ეგდო. ვეფხვი, რომ დარწმუნდა დათვის სიკვდილში, გადგა ცოტა მოშორებით, ჩაჯდა უკანა ფეხებზედ, თითქმის ნახევარ ადლიანი ენა გადმოაგდო და დაიწყო ქაქანი. ჩემი იქ ყოფნა კი მგონი სულ ვერ გაიგო, რადგანაც ამ დროს განმავლობაში ვიკუნტებოდი და ვეკრობოდი ხან ხეს, ხან მის ტოტებს და ველოდი იმ დროს, როცა ვეფხვი უმალ დაუბრუნდებოდა ლეშს და მაშინ ვაპირებდი თოფის დამიზნებას. საქმე კი სხვანაირად დატრიალდა: ვეფხმა რომ ცოტა შეისვენა, წყნარის ნაბიჯით და კრუტუნით მიუახლოვდა დათვს, ჩემსკენ ზურგ-შემოქცეულმა მარცხენა ყური ზურგზედ დაადო, დასარწმუნებლად დათვის სიკვდილისა. ეს დრო მეტად მარჯვედ და მოხერხებულად მეჩვენა, დავუმიზნე მარჯვენა ყურის ძირში თოფი, რომელმაც იგრიალა და, ჩემდა გასაოცებლად, ვეფხვი ერთი შეთრთოლების შემდეგ მჩვარივით გადაეკიდა დათვს. მე მაინც ეჭვში ვიყავი, მეშინოდა ვეფხვი უმალ არ წამომდგარიყო და ვაპირებდი მეორე თოფის დაცლასაც, მაგრამ ვეფხვი შეჟრჟოლდა და გაიჭიმა. მაშინ კი ბევრი აღარ დავახანე; ჩამოვცოცდი ძირს და შევუდეგ საქმეს: გავატყავე ჯერ ძროხები, შემდეგ ვეფხვი და დათვი; — ამას გათენებამდის მოვუნდი. მეორე დღეს ტყავები სახლში ჩავზიდე და მესამე დღეს ვეფხვის და დათვის ტყავები ასტარაში*) გავიტანე ð 75 მან. გავყიდე (70 მ. ვეფხვის ტყავი და 5 მ. ნეთად დათვისა). ამ ფულით იქვე ბაზარში ერთი ფურ კამბეჩი ვიყიდე, ერთი ძროხა, და ჩემ ამოდენა გარჯაშიაც ცოტა ოდენი თუთუნის ფულიც დამრჩა.

გ. ახალციხელი.

*) რუსეთის და სპარსეთის საზღვარზედ მდებარე ქალაქია.



დარაჯი რკინის გზის გადასავალთან.
ნახშირით დახატული სურ. ა. გოგიაშვილისა.



ტფილისის მოსწავლეთა მოგზაურობა კიევში.—კიევი ანდრეევის სობოროდან.

## სურათების განმარტება

ამ №-ში მოთავსებულია პორტრეტები „ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარის—თავ. პ. ა. თუმანიშვილისა და წევრების—თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძისა და მ. ნ. ქუთათელაძისა.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება ერთ საუკეთესო და საფუძვლიან დაწესებულებად ითვლება არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც. 22 წლის მუყაით და სასარგებლო მოღვაწეობით ბანკმა საპატიო სახელი გაითქვა და ნდობა მოიპოვა. ამისთვის ბევრი უმოღვაწნიათ ზემოხსენებულ პირთ და დიდი პატივისცემა დაუმსახურებიათ საზოგადოების მრავალ წევრთა და კლიენტთა შორის.

გარდა საბანკო მოღვაწეობისა, თავ. პ. თუმანიშვილი და თავ. კირ. ლორთქიფანიძე მეტად ცნობილნი არიან როგორც სიმპატიური და საუკეთესო საზოგადო მოღვაწენი.

ქუთაისის „ბანკოზიადა. ზუთხით გამასპინძლება არჩევნების წინ.



— აპა ახალი ზუთხი, მიირთვით შენი ჭირიმე....



**ქალი.** როგორ გავგზავნო საავადმყოფოში ასეთი ძნელი ავადმყოფი! შეიძლება იქ გარდაიცვალოს უყურადღებობისა გამო!...

**საბჭოს ხმოსნები.** ეგ სულ ერთია! თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ქალაქს ემსახურებით და უნდა დაიცათ პრესტიჟი ყველა საქალაქო დაწესებულებისა.



— არ ვიცი, ღმერთმანი, რა ღონე ვიხმარო ხმოსნების მოსაზიდად ტფილისის საბჭოში. ვფიქრობ საოპერეტო დასი მოვიწვიო ხოლმე კრებებზე და ცალკე ოთახშიაც ქალალდის თამაში გავმართო!...

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.